



## შინაურ ცხოველების დაცვის ევრო კონვენცია

სტრაზბურგი, 13.XI.1987

### პრემბულა

ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები ხელს აწერენ შემდეგს,

ითვალისწინებენ, რა ევროსაბჭოს მიზანს მიაღწიოს ერსულოვნებას მის წევრებს შორის;

აღიარებენ, რომ ადამიანს გააჩნია მორალური პასუხისმგებლობა პატივისცეს შინაურ ცხოველებს და რომ ცხოველებს გააჩნიათ განსაკურთხებული დამოკიდებულება ადამიანებთან;

განიხილავენ შინაურ ცხოველების მნიშვნელობას და ცხოვერების ხარისხს, ასევე მათ მნიშვნელობას საზოგადოებისათვის;

განიხილავენ შინაურ ცხოველთა სახესხვაობებისადმი წამოჭრილ სირთულეებს;

განიხილავენ შიანური ცხოველისა და ადამიანის ჰიგიენასთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს;

განიხილავენ იმას, რომ არ უნდა შეიძლახოს ველური ფაუნის მიერ შემონახულ შინაურ ცხოველთა მრავალფეროვნება;

განიხილავენ ცხოველთა შეძენის, შენახვის, კომერციული თუ არაკომერციული გამრავლებისა და ვაჭრობის სხვადასხვა პირობებს.

განიხილავენ იმას, რომ ცხოველები ყოველთვის არ იმყოფებიან კეთილდღეობისა და ცხოვერების კარგ პირობებში;

ადნიშნულ იმას, რომ შინაურ ცხოველებთან მიმართება მნიშვნელოვნად იცვლება ხშირშემთხვევაში მწირი ცოდნის გამო;

განიხილავენ იმას, რომ ურთიერთობისა და პრაქტიკის ძირითადი საერთო სტანდარტი, რომელიც საშინაო ცხოველებთან პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, არამარტო სასურველია არამედ რელური მიზანიცაა,

შეთახმდენ შემდეგზე:

#### თავი I ძირითადი პირობები

##### სტატია 1 – განსაზღვრა

1. შინაურ ცხოველად განიხილება ყველა ის ცხოველი, რომელიც დაცულია ადამიანის მიერ, კერძო ოჯახურ მეურნეობებში, მათი პირადი სიამოვნებისა და მეგობრული ურთიერთობის მიზნით.
2. შინაური ცხოველებით ვაჭრობა გულისხმობს ყველა რეგულარულ ბიზნეს გარიგებას, ნებისმიერი სიხშირით, რომლიდანაც გარკვეულ სარგებელს/მოგებას იღებს შინაური ცხოველის მეპატრონება.
3. კომერციული გამრავლება გულისხმობს ნებისმიერი რაოდენობითა და სიხშირით ჩატარებულ გამრავლების პროცესს, რომლის შეგედადაც მიიღება გარკვეული სარგებელი (მოგება).
4. ცხოველთა თავშესაფარი გულისხმობს არამომგებიან დაწესებულებას, სადაც ხორციელდება გარკვეული რაოდენობის შინაურ ცხოველთა მოვლა-პატრონობა. თავშესაფარმა უნდა უზრუნველყოს უპატრონოდ დარჩენილი ცხოველების მოვლა თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით.
5. უპატრონო (უსახლკარო) შინაური ცხოველად განიხილება ის ცხოველები, რომელთაც არ გააჩნიათ სახლი ან ცხოვრობებ მფლობელის მეურნეობის საზღვარს გარეთ და არ იმყოფება მფლობელის ან მეპარტონის მეთვალყურეობის ქვეშ.
6. კომპეტენტური ორგანოს გულისხმობს ორგანიზაციას ან ამ ორგანიზაციაში მომჟავე კომპეტენტურ საეციალისტს რომელიც არჩეულია წევრი ქვეყნების მიერ.

##### სტატია 2 – შესაძლებლობა და განხორციელება

1. ყველა მხარე პასუხისმგებელია, რომ შეასრულოს კონვენციით გათვალისწინებული შემდეგი საგალდებულო ქმედებები:
  - ა. კომერციული გამრავლების ან საგაჭრო თვალსაზრისით შინაური ცხოველები უნდა იმყოფებოდნენ კერძო პირის ოჯახურ მეურნეობაში, ამ მიმართულების ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში ან ცხოველთა თავშესაფარში.

- ბ. ასევე უპატრონო (უსახლკარო) ცხოველები.
2. კონვენციაში მოცემული არცერთი საკითხი არ არის საზიანო ცხოველთა დაცვისათვისა და გარეული ჯიშების კონსერვაცისათვის.
3. კონვენციაში განხილული არერთი საკითხი არ აძლევს მხარეებს იმის უფლებამოსილებას, რომ განახორციელონ ცხოველთა დაცვისთვის საჭირო მკაცრი ქმედებები ან გამოიყენონ ეს უფლებები იმ ცხოველების მიმართ რომლებიც კონვენციაში არ მოიხსენიება.

## თავი II – შინაურ ცხოველთა მოვლა-პატრონობის პრინციპები

### სტატია 3 – ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები

1. არავის აქვს უფლება ზედმეტი წუხილი, ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი მიაყენოს შინაურ ცხოველს.
2. არავის აქვს უფლება მიატოვოს შინაური ცხოველი.

### სტატია 4 – მოვლა-პატრონობა

1. ნებისმიერი პირი, რომელიც უვლის ან პატრონობს შინაურ ცხოველს, პასუხისმგებელია მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.
2. ნებისმიერი პირმა, რომელიც უვლის ან პატრონობს შინაურ ცხოველს, უნდა უზრუნველყოს იგი სპეციალური საცხოვრებელით და უნდა იზრუნოს მის ეთიოლოგიურ საჭიროებებზე შინაური ცხოველის ჯიშისა და ტიპის მიხედვით, კერძოდ:
  - ა. უზრუნველყოს საჭირო საკვებითა და წყლით;
  - ბ. უზრუნველყოს შესაბამისი საწვრთნელი შესაძლებლობებით;
  - გ. განახორციელოს ყველა გონიგრული ქმედება, რათა თავიდან აიცილოს ცხოველის გაქცევა;
3. ცხოველს არ მოვუარო შინაური ცხოველის მსგასად თუ:
  - ა. თუ არ გავეცანით მე-2 პარაგრაფის ზემოთ მოცემულ პირობებს;
  - ბ. თუ ცხოველი არ მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ ცხოველთა ოჯახს;

### სტატია 5 – გამრავლება

ყველა პირი, რომელიც ეწევა სელექციას ცხოველთა გამრავლების მიზნით პასუხისმგებელია ცხოველის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და კეთილდღეობის მახასიათებლებზე რათა რისკი ქვეშ არ დააყენოს მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ასევე მათი შთამომავლობის საკითხები.

## სტატია 6 – მფობელობის ასაკობრივი ზღვარი

არ შეიძლება 16 წლის ზემოთ ცხოველების გაყიდვა სპეციალური შეთანხმების გარეშე მეპარტონესთან ან სხვა პასუხისმგებელი პირთან.

## სტატია 7 – წვრთნა

არ შეიძლება ცხოველთა წვრთნა თუ იგი საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის და კეთილდღეობისთვის, ასევე ძალდატანება თუ წვრთნა აღემატება ცხოველის ძალასა და შესაძლებლობებს ან მათი ფიზიკური ძალის გამოყენება თუ იგი საზიანოა მათი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობისთვის.

## სტატია 8 – წვრთნა, კომერციული გამრავლება და თავშესაფარი

1. ყველა პირმა, რომელიც კონვენციის ძალაში შესვლიდან შინაურ ცხოველთა თავშესაფრის მფლობელია ან ეწევა შინაური ცხოველებით ვაჭრობას და კომერციულ გამრავლებას, მხარების მიერ განსაზღვრულ პერიოდში, უნდა აირჩიოს კომპეტენტური პირი.

ნებისმიერი პირი, რომელიც არჩეულია ან დაკავებულია ზემოაღნიშნული საქმიანობით ვალდებულია გააცნოს თავისი მიზნები კომპეტენტურ პირს.

2. დეკლარაციით უნდა განისაღვროს:

ა. შინაურ ცხოველთა ჯიშები, რომლთაც ეხებათ ან მომავალში შეეხებათ კონვენციის პირობები;

ბ. პირი, რომელიც პასუხისმგებელია საკუთარ ცოდნაზე;

გ. გამოყენებული და გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და საცხოვრებლის აღწერილობა;

3. ზემოაღნიშნული საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა. თუ პირი პასუხისმგებელია თავის ცოდნაზე, რომელიც მიღებული აქვს შინაურ ცხოველთა მოვლისა და პატრონობის გამოცდილებითა და ტრეინინგებით

ბ. თუ აღნიშნული საქმიანობისთვის გამოყენებული საცხოვრებელი და მოწყობილობები მთლიანად აკმაყოფილებს მე-4 სტატიაში განხილულ პირობებს.

4. კომპეტენტურმა პირმა დეკლარაციის თანახმად, რომელიც შედგენილია 1 პარაგრაფის საფუძველზე, უნდა განსაღვროს შესრულებულია თუ არა მე-3 პარაგრაფში აღნიშნული პირობები. თუ ეს პირობები აღეკვატურად არ არის შესრულებული, მაშინ ცხოველთა კეთილდღეობის თვალსაზრისით საჭიროა მიიღოს გარკვეული ზომები მისი შეჩერების ან გაგრძლებების თაობაზე.

5. კომპეტენტურმა პირმა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უნდა აკონტროლოს ზემოაღნიშნული პირობების შესრულება.

## სტატია 9 – რეკლამა, გასართობი შოუები, გამოფენა, კონკურსი და მსგავსი ღინისძიებები

1. შინაური ცხოველები არ უნდა გაიყენებოდნენ (მონაწილეობდნენ) რეკლამაში, გასართობ შოუებში, გამოფენებში, კონკურსებსა და მსგავს ღონისძიებებში შემდეგ შემთხვევებში:

ა. თუ ორგანიზატორი თითოეული ცხოველისთვის არ შექმნის იმ საჭირო პირობებს, რაც მოცემულია მე-4 სტატიის მე-2 პარაგრაფში

ბ. თუ რისკის ქვეშ დადგება ცხოველთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

2. არცერთმა სუბსტანციამ არ უნდა გასცეს რაიმე პრეპარატი ან მოწყობილობა ცხოველის პირადი დონის წარმოჩენის გაზრდისა ან შემცირების მიზნით:

ა. კონკურსის მიმდინარეობისას ან

ბ. ყველა სხვა შემთხვევაში თუ ცხოველის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა რისკის ქვეშ დგება.

## სტატია 10 – ქირურგიული ოპერაციები

1. უნდა აიკრძალოს ჩვენებებისა და სხვა არასამკურნალო მიზნით შინაური ცხოველებისათვის ქირურგიული ოპერაციები ჩატარება, კერძოდ:

ა. კუდის მოჩრა;

ბ. კურების მოჩრა;

გ. დაყრუება;

დ. რქების მოჩრა და კბილების ამოღება;

2. გამონაკლისია მხოლოდ შემდეგი შემთხვევები:

ა. თუ ვეტერინარი გადაწყვეტს, რომ აუცილებელია მსგავსი ოპერაციის ჩატარება და საჭიროა ცხოველისთვის სამედიცინო მიზნებიდან გამომდინარე;

ბ. რათა ხელი შევუსალოდ ქვლავწარმოებას;

3. ა. ოპერაცია, რომლის დროსაც ცხოველმა შესაძლებელია განიცადოს მძიმე ტკიფილი უნდა ჩატარდება ანესთეზიით ან ვეტერინარის მეთვალყურეობით.

ბ. ოპერაცია, რომელიც არ მოითხოვს ანესთეზიას, ეროვნული კაკონმდებლობის თანახმად, შესაძლებელია ჩაატაროს კომპეტენტურმა პირმა.

## სტატია 11 – დაკვლა

1. ცხოველის დაკვლა უნდა განახორციელოს ვეტერინარმა ან კომპეტენტურმა პირმა, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ცხოველი

კრიტიკულ მდგომარეობაშია და აუცილებელია რაც შეიძლება მაღალ გავათავისუფლოთ იგი ტანჯვისგან ან შეუძლებელია ვეტერინარის დროული ჩარევა, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად. გარემოებებიდან გამომდინარე, ცხოველის დაკვლისას მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი მისი ფიზიკური და გონიერივი ტანჯვა. არჩეულ უნდა იქნეს სპეციალური მეთოდები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როცა ადგილი აქვს:

- გონების მოულოდნელ დაკარგვას და სიკვდილს;
- დრმა ანასთეზით ინდუქციის დაწყებას რაც საბოლოოდ გამოიწვევს ცხოველის გარდაცვალებას.

სანამ პასუხისმგებელი პირი დაკავდება ცხოველის კარგასის დამუშავებით კარგად უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი ნამდვილად გარდაცვლილია.

უნდა აიკრძალოს ცხოველის მოკვლა შემდეგი მეთოდებით:

- გაგუდვა ან რაიმე მსგავსი მეთოდი რაც არ ახდენს ზემოქმედებას, 1 ბ. ქვე-პარაგრაფში მოცემული მოთხოვნების თანახმად;
- რაიმე მომწამვლელი ნივთიერებების ან პრეპარატების გამოყენება, რომლებიც აღნიშნულია 1 პარაგრაფში;
- ელექტროშოკის გამოყენება, რაც არ იწვევს ინდუქციური მეთოდით მოულოდნელ გონების დაკარგვას.

### **თავი III – დამატებითი პირობები უსახლკარო ცხოველებისთვის**

#### **სტატია 12- რაოდენობის შემცირება**

იმ შემთხვევაში თუ მხარეები თვიან, რომ უსახლკარო ცხოველების რაოდენობა ქმნის გარკვეულ პრობლემებს, მაშინ საკანონმდებლო ან აღმინისტრაციული კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება, ტკივილისა და ტანჯვის გარეშე.

- მსგავსი ქმედებები უნდა აქმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:
  - ასეთი ცხოველების დაჭერისას მათი ფიზიკური და გომებრივი ტანჯვა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი;
  - კონვენციის თანახმად ასეთი ტიპის ცხოველები ან უნდა მოიკლას ან გაგრძელდეს მათი მოვლა-პარტონობა;
- მხარეები განიხილავენ:
  - გაღლებისა და კატების იდენტიფიკაციის (აღრიცხვიანობის) საკითხებს, რაც დაარეგულირებს მათი რაოდენობის საკითხს და სადაც აღნიშნული იქნება ცხოველის სახელი და მფლობელის მისამართი;
  - მათი გამრავლების პროცესის შემცირება;

3. უსახლკარო კატებისა და ძაღლების მაძიებლებმა უნდა შეატყობინონ მათ შესახემ კომპეტენტურ პირს.

**სტატია 13 – დაჭერის, მოვლა-პარტონობის და დაკვლის გამონაკლისი პირობები**  
აუცილებლად უნდა განხორცილდეს კონვენციაში მოცემული უსახლკარო ცხოველების დაჭერის, მოვლა-პარტონობის და დაკვლის პირობები, როცა გარდაუგალია დაავადებების კონტროლის ეროვნული პროგრამა.

#### თავი IV – ინფორმაცია და განათლება

#### სტატია 14 - საინფორმაციო და სასწავლო პროგრამები

კონვენციის თანახმად, მხარეებმა ცოდნის გაღრმავების მიზნით უნდა განავითარონ შინაურ ცხოველთა მოვლა-პარტონობის, გამრავლების, წვრთნისა და ვაჭრობის საინფორმაციო და სასწავლო პროგრამები. სადაც ძირითადად უურადლება გამახვილებული უნდა იყოს შემდეგ საკითხებზე:  
ა. შინაურ ცხოველთა გაწვრთნა კომერციული ან საკონკურსო მიზნით, რაც უნდა განხორციელდეს კვალიფიციური პირების მიერ;

ბ. შემდეგი ქმედებების აღმოფხვრა:

1. ცხოველთა გაჩუქება 16 წლამდე ასაკის პირებზე, თუ არ არსებობს მშობლების და პასუხისმგებელი პირების თანხმობა;

2. ცხოველთა გაჩუქება პრიზის ან პრემიის სახით;

3. შინაურ ცხოველთა დაუგეგმავი გამრავლება;

გ. გარეულ ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მდგომარეობის გაუარესება თუ ისინი განიხილებიან, როგორც შინაური ცხოველები;

დ. შინაურ ან უსახლკარო ცხოველთა დიდი რაოდენობით შეძენით წარმოქმნილი რისკები.

#### თავი IV – მრავალმხრივი კონსულტაციები

#### სტატია 15 - მრავალმხრივი კონსულტაციები

1. კონვენციის ძალაში შესვლიდან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერ საჭიროების შემთხვევაში მხათა უმრავლესობის მოთხოვნით მხარეებმა, ევროსაბჭოს შიგნით უნდა ჩაატარონ მრავალმხრივი კონსულტაციები და ხელახლა განიხილონ კონვენციაში მოცემული პირობები. კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ მოწვეულ შეხვედრაზე.

2. თითოეულ ხარე უფლებამოსილია კონსულტაციებზე დასასრწებად აირჩიოს წარმომადგენელი. ევროსაბჭოს არა წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ კონსულტაციებზე წარმოადგინონ თავიანთი ზედამხედველი წარმომაგდენელი.

3. ყოველი კონსულტაციის შემდეგ მხარეებმა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს კონსულტაციისა და კონვენციის მუშაობის შედეგები, ასევე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის წინადაღებები, კონვენციის 15-23 სტატიების თანახმად.

4. კონვენციის საკითხებთან დაკავშირებით მხარეებმა უნდა დაადგინონ კონსულტაციების პროცედურების წესები.

## თავი VI – ცვლილებები

### სტატია 16 – ცვლილებები

1. 1-14 სტატიებში ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილება მხარეების ან მინისტრთა კომიტეტის მიერ უნდა წარედგინოს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს და შემდეგ ევროსაბჭოს წევრ ან სხვა მოწვეულ ქვეყნებს, კონვენციის მე-19 სტატიის თანახმად.

2. მოცემული პარაგრაფების პირობების თანახმად შეთავაზებული ნებისმიერი ცვლილება უნდა განიხოლოს მრავალმხრივ კონსულტაციებზე გენერალურ მდივანთან წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა, სადაც მოხდება მისი დამტკიცებება მხარეთა ხმათა 2/3-ით. დამტკიცებული ტექსტი უკან უნდა გაეგზავნოს მხარეებს.

3. ნებისმიერი ცხვლილება ძალაში უნდა შევიდეს კონსულტაციაზე დამტკიცებიდან 12 თვეში, თუ რომელიმე მხარე წინააღმდეგი არ არის.

## თავი VII – საბოლოო პირობები

### სტატია 17 – ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება და დამტკიცება

კონვენციის ხელმოწერა ლია უნდა იყოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის. ის უნდა წარმოადგენდეს რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების საგანს. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტი შემიღებული უნდა იყოს ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

### სტატია 18 – ძალაში შესვლა

1. მე-17 სტატიის თანახმად, კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს 6 თვის შემდეგ პირველივე დღეს, რაც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები შეთანხმდებიან ჩარჩო კონვენციაზე.

2. კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს წევრი ქვეყნების მიერ რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცებისა ინსტრუმენტისა და ჩარჩო კონვენციის დადგენიდან 6 თვის შემდეგ.

### სტატია 19 – არაწევრი ქვეყნების შესვლა

1. კონვენციის ძალაში შევლის შემდეგ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს, კონვენციის თანახმად, შეუძლია მოწვიოს საბჭოს ნებისმიერი არაწევრი ქვეყანა, რაც, ევროსაბჭოს წესდების მე-20 დ სტატიის თანახმად, უნდა გადაწყდეს ხმათა

უმრავლესობითა და მინისრთა კომიტეტში მსხდომი უფლებამისილი წევრების ერთიანი გადაწყვეტილებით.

2. მიღებული წევრი ქვეყნების შემთხვევაში, კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს ევროსაბჭოს გენერალური მდივნისათვის შესვლის ინსტრუმენტის წარდგენიდან 6 თვის შემდეგ.

### სტატია 20 – ტერიტორიული პირობები

1. თითოეულმა წევრმა რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან წევრად მიღების შემთხვევაში ხელის მოწერისას აუცილებლად აღნიშნავენ იმ ტერიტორიას ან ტერიტორიებს სადაც მიღებული იქნა კონვენცია.

2. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, ევროსაბჭოს გენერალური მდივანასთვის წარდგენილი დეკლარაციის თანახმად უფლება აქვს გააფართოვოს კონვენციის პირობები მასშივე აღნიშნულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის შემთხვევაში კონვენცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ მიღებული დეკლარაციის 6 თვიანი ვადის გასვლიდან პირველსავე დღეს.

3. ნებისმიერი დეკლარაცია, შედგენილი ზემოაღნიშნული პარაგრაფის მიხედვით, დეკლარაციაში აღნიშნული ტერიტორიის შემთხვევაში, გაუქმებული იქნება გენერალური მდივნის მიერ, გაუქმების უწყების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

### სტატია 21 – უფლებების შენახვა, რეზერვაცია

1. ნებისმიერ ქვეყანას, ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ინტრუმენტების დადგენისას, მე-6 და მე-10 სტატიის 1 ქვე-პარაგრაფის ა პუნქტის თანახმად, შეუძლია გაიყენოს თავისი ერთი ან მეტი დარეზერვებული უფლება. სხვა უფლებების გამოყენება შეუძლებელია.

2. ნებისმიერ მხარეს, ომელსაც გააჩნია ზემოთხსენებული დარეზერვებული უფლება, შეუძლია მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება, რაც უნდა ეუწყოს გენერალური მდივანს. აღნიშნული გაუქმება ძალაში უნდა შევიდეს უწყების მიღების დღიდან.

3. იმ მხარის უფლება, რომელსაც გააჩნია რეზერვაცია, კონვენციის თანახმად, არ შეუძლია გამოიყენოს სხვა მხარემ, თუმცა ეს შესაძლებელია ნაწილობრივ ან პირობითად.

### სტატია 22 – ბრალდება

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია ევროსაბჭოს გენერალური მდივნისადმი უწყების წარდგინებით კონვენციის დანონირება.

2. დენონსრირება ძალაში უნდა შევიდეს გენერალური მდივნის მიერ უწყების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

### სტატია – 23 უწყება

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა აცნობოს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს და სხვა მიღებულ ან მიწვეულ წევრ ქვეყნებს შემდეგი:

- ა. ნებისმირი ხელმოწერა;
- ბ. ნებისმიერი რატიფიკაციის ინსტრუმენტი ან მიღება;
- გ. კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი მე-18, მე-19 და მე-20 სტატიის თანახმად;
- დ. კონვენციის თანახმად ნებისმიერი აქტისა და უწყების მიღება;

ხელმომწერნი უნდა ადასტურებდნენ რომ პასუხისმგებელნი არიან კონვენციის ხელმოწერაზე.

მიღებულია სტრაზბურგში 1987 წლის 13 ნოემბერს, იგლისურ და ფრანგულ ენაზე, ორივე ტექსტი ერთნაირია და ერჯერადი კოპია რჩება ევროსაბჭოს არქივში. ევროსაბჭოს გენერარულმა მდივანმა დამოწმებული კოპიო უნდა გადასცეს ევროსაბჭოს ყველა წევრ და კონვენციაში მოწვეულ ქვეყნას.